საკრებულოს იურიდიულ
საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმიN6

ქ.თერჯოლა
ან. ჭანტურიძის ქ. №7

01 ივლისი 2025 წ

სხდომას უძღვებოდა: იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ბიძინა ბუცხრიკიძე.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ბიძინა ბუცხრიკიძე, 2. ნინო ჩხიკვაძე, 3. ომარი ჯიხვაშვილი, 4. კობა კაცაძე, 5.ჯემალი ისაკაძე, 6.იზა მაგრაქველიძე; 7. გიორგი ბარათაშვილი ; 8. ეკა ბერძენიშვილი;

სხდომას არ ესწრებოდა: რუსუდან კოვზირიძე; ნატალია ასათიანი, დავით ცხადაძე;

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის უფროსი ხათუნა ნიკოლაძე, საკრებულოს სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ფიქრია ბუსკივაძე;

კომისიის სიითი შემადგენლობა: 11 წევრი.
კვორუმი: 6 წევრი.
დამსწრე კომისიის წევრთა რაოდენობა: 8 წევრი.

კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად'

სხდომის თავმჯდომარემ **ბიძინა ბუცხრიკიძემ** კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 მაისის N12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს: ბ.ბუცხრიკიძე/

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 დეკემბრის N 22 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

/მომხს: ბ.ბუცხრიკიძე/

3. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

/მომხს: ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 8, წინააღმდეგი-არცერთი;

<u>დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.</u>

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.</u>

1.მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 მაისის N12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით კანონში შევიდა ცვლილება, კერძოდ: გენდერული თანასწორობის საბჭო შეიცვალა ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს სახელწოდებით. ახალი დებულების თანახმად დაცულია ქალთა და ბავშვთა უფლებები.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ დადგენილების პროექტს;

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 8, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. საკრებულოს დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და სხდომას დასამტკიცებლად.

2. მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი თერჯოლის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 დეკემბრის N 22 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.
აღნიშნული დადგენილება ძალადაკარგულად ცხადდება მთავრობის მიერ განხორციელებული ცვლილების შედეგად, კერძოდ: გაუქმდა გენდერული თანასწორობის საბჭო, რასაც მოყვება შესაბამისი ზომები.

აზრი გამოთქვეს: აზრი არავის გამოუთქვამს;
კენჭისყრის შედეგები: მომხრე 8, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. უნდა გამოცხადდეს ძალადაკარგულად დადგენილების პროექტი თერჯოლის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 დეკემბრის N 22 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

მუხლი 2. დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და სხდომას დასამტკიცებლად.

3. მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი, „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

აღნიშნული ცვლილება გამოიწვია გენდერული საბჭოს სახელწოდების ცვლილებამ და განისაზღვრა საბჭოში მომუშვე პირთა რაოდენობა;

აზრი გამოთქვეს: გიორგი ბარათაშვილმა;

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 8, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №7 დადგენილებაში;

მუხლი 2. დადგენილების პროექტი დასამტკიცებლად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომას;

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: